ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 38
29/10/2021

38-04-4-202110291426

ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის - „მოქალაქეთა ხელსაყრელი მობილობის უზრუნველყოფა ქედის მუნიციპალიტეტში“ განხილვის შედეგების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის მოსმენის თაობაზე

2021 წლის 27 ივლისს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში რეგისტრირებული იქნა მოქალაქე მარია ბარამიძის (პ/ნ 61008016910) მიერ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიცია, რომელიც შეეხებოდა მოქალაქეთა ხელსაყრელი მობილობის უზრუნველყოფას ქედის მუნიციპალიტეტში.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 86-ემუხლის 11-ე პუნქტისა და ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის 117-ე მუხლის 11-ე პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 აგვისტოს №01-07/11 ბიუროს სხდომის უფლებამოსილების შესაბამისად, განსახილველად გადაეგზავნა ქედის მუნიციპალიტეტის მერს.

პეტიცია განხილული იქნა მერის მიერ და შედეგების შესახებ ინფორმაცია მოწოდებული იქნა საკრებულოსათვის.

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი’’-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის ,,გ.ა“ ქვეპუნქტისა და ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის, შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ცნობად იქნეს მიღებული მოქალაქე მარია ბარამიძის (პ/ნ 61008016910) მიერ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის - „მოქალაქეთა ხელსაყრელი მობილობის უზრუნველყოფა ქედის მუნიციპალიტეტში“ განხილვის შედეგების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში, თანახმად დანართი №1-სა.
2. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.
3. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.

4. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

შუქრი თურმანიძე

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე